რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 30 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 66 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 66

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვორი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გამოხდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი.

## საყურადღებო [illegible]

ჩვენი „ობორონცების" განუყოფელმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო. მათ დაშალეს კავკასიის მუშათა საბჭოების სიეზდი. სამოცდაწყველო პროლეტარიატის 72 წარმომადგენელი იძულებული გახადეს სიეზდს გასცლოდა.

დარჩენილმა „ობორონცებმა" თავი კავკასიის მუშათა სიეზდათ გამოაცხადეს.

მათ კავკასიის არმიის რაიკოლი მოახდინეს: 48 ობორონცებს 52 წევრი გამოეყო 52 ინტერნაციონალისტს და თავი არმიის საბჭოთ გამოაცხადეს.

ძირს უზურპატორი ობორონცები!!

გაუმარჯოს კავკასიის საბჭოს უმრავლესობას—52 წევრს ინტერნაციონალისტს!!

გაუმარჯოს 72 წარმომადგენელს კავკასიის პროლეტარიატისას!

გაუმარჯოს კავკასიის მომავალ მუშათა საბჭოების სიეზდს!

გაუმარჯოს საბჭოების ძალაუფლებას!

ძირს ამიერ-კავკასიის კომისარიატი!

გაუმარჯოს კავკასიის მუშათა და სალდათთა ჭეშმარიტ დეპუტატების გაერთიანებულ საბჭოს!

---

## მენშევიკები და მიწის საკითხი

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამას წინათ ამიერ კავკ. მთავრობამ კომისარიატის სახელით გამოსცა რევოლუციონერი „კანონი" მიწების შესახებ. ეს თავისებური „კანონი" ბევრათ უფრო შეეფერება თავად-აზნაურულ ბიუროკრატიულ წყობილებას, ვინემ რევოლუციონური ხალხის მთავრობას. სახელწოდება და ფორმაც ამ ვითომდა „კანონს" ისეთივე აქვს, როგორიც მითვისებული ჰქონდა სამეფო კანონმდებლობას. რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრით მიერ კავკასიის ნაწარმოებს რევოლუციის სრულებით არაფერი სცხია. ბ.ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის „დებულება" შეიცავს მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიის მიწების გადაცემას სამაზრო მამულთა კომიტეტებისათვის, მაგრამ და გარდა, [illegible] არ არის არც მემამულეთა მიწების კონფისკაცია გამოუყიდველათ, არც მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა: მაშინ როცა მხოლოთ ასეთი ზომები შეიძლება დღევანდელ პირობებში ჩაითვალოს რევოლუციონურ ზომებათ.

ჩვენ მოკლეთ შევეხეთ ხსენებულ „დებულებას" და აღვნიშნეთ ის, რომ ის არ იძლევა პასუხს მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ გლეხკაცობის სასარგებლოთ დღევანდელ მომენტში. ჩვენ კრიტიკას, როგორც ჩანს, მოთმინებიდან გამოუყვანია ქართველ მენშევიკების (იგულისხმება სოც. ფედერალისტების ანუ ქართველ დაშნაკელების) ორგანო „ერთობა" იხ. № 224, რომელიც ამ კრიტიკის გამო გვამკობს ჩვენ შემდეგი ეულერებელი ტერმინებით: „გონება დაკარგული", „უზნეო", შოშლილი აზროვნება" და სხვ. ამ უმსგავსს და უღაზათო ლანძღვა გინებას ჩვენ გვერდს ვუხვევთ, დეე ილანძღონ, ვინაიდან ამით მხოლოდ თავის თავს აყენებენ შეურაცყოფას. რაც შეეხება იმ "საბუთებს", რომლების მეოხებით „ერთობას" სურს ჩვენი კრიტიკის გაქარწყლება. ამაზე კი ჩვენ ვალდებული ვართ პასუხი გავსცეთ მას.

დავიწყოთ თავიდან. „ერთობა" ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენ რუსულ ენაზე დავწერეთ ჩვენი კრიტიკა ბ.ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის „დებულების" შესახებ და არა ქართულ*) ან სხვა ადგილობრივ ენაზე. „ერთობა" გაიძახის, რა საჭიროა რუსულ ენაზე მიწის საკითხის შესახებ წერა, როცა ამიერ-კავკასიაში რუსი გლეხობა სრულებით არ მოიპოვებაო; ავტორი მხოლოდ სალდათებისთვის სწერსო. ამაზე აი რა უნდა მოვახსენოთ „ერთობის" ბრძენთ: ეს „დებულება" დაიბეჭდა რუსულ ენაზედაც და თუ ეს საჭირო არ იყო, რათ გამოქვეყნდა ეს ამ ენაზე 2) ვთქვათ, რომ მე სალდათებისთვის დავსწერე რუსულ ენაზე,—მერე რა არის აქ ცუდი? ან შეიძლება სალდათები არ არიან იმის ღირსი, რომ იცოდენ რას ჩადის ეგრეთ წოდებული ამიერ-კავკასიის მთავრობა? 3) „ერთობას" გონია რომ რუსი გლეხობა ამიერ კავკასიაში არ არის. ეს დიდი შეცდომაა ამ დარბაისელ გაზეთის მხრით. მართალია, რუსი გლეხობა აქ ნაკლებია, ვინემ თათრების, ქართველების და სომხების, მაგრამ განა ამ საბუთის ძალით შეიძლება, იმის მტკიცება, როგორც ამას „ერთობა" ჩადის, რომ ამიერ-კავკასიაში რუსი გლეხობა არ არსებობს და ამიტომ რუსულათ წერა მიწის საკითხის შესახებ ყოვლად უსარგებლოა? მაგრამ დავანებოთ ამას თავი, აშკარაა, რომ ქართველ მენშევიკებს გზა კვალი აბნევიათ.

რომ ეს მართლა ასეა ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება. „ერთობა" დიდი ყვედრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „დებულებას მიწის გადაცემის" შესახებ მე ვაწერ ბბ. გეგეჭკორს, ნერუჩევს და საერთოთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს. „ერთობა" ძლიერ სწუხს ამის გამო და ამბობს, რომ ჩვენ ვითომც „მისამართი შეგვშლოდეს, ვინაიდან მიწის დებულება შეიმუშავა გლეხთა ცენტრმა და არა კომისარიატმაო". ამიტომ მატყუარები არიან არა კომისარიატი და გეგეჭკორი, არამედ გლეხთა ცენტრიო. რა უნდა უპასუხოთ ამაზე „ერთობის" ბრძენთ?—ჩვენ მივაწერეთ და ახლაც ვაწერთ ამ „დებულებას" იმათ, ვისაც მაზე ხელი უწერია და ვგონებთ ასე მოიქცეოდა ყველა ჭკუათამყოფელი ადამიანი, ჩვენ არავითარი საბუთი არ გვქონებია, ეს „დებულება" გლეხთა ცენტრისთვის მიგვეწერა. დღეს ასეთ საბუთს გვაძლევს ჩვენ გაზ. „ერთობა", რომელიც გვეუბნება, რომ ეს აწირებული „დებულება", რომელიც გლეხთა რევოლუციის ხანაში სხვილ მემამულეების ინტერესებს იცავს, თურმე შეუდგენია არა მემამულეების ორგანიზაციას, არამედ გლეხთა ცენტრს. ახლა ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, თუ როგორი ცენტრი ყოლია ამიერ-კავკასიის გლეხკაცობას. ახლა ჩვენ გვეძლევა სრული და შეურყეველი საბუთი ვუთხრათ ამიერ-კავკასიის გლეხ[illegible] რომ მან სრული უნდობლობა უნდ[illegible] მოუცხადოს ამიერ-კავკასიის გლეხთა ცენტრს, სადაც მეთაურობენ ქართველი მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები და თათრის ბეგები, რომლებიც გლეხობას ღალატობენ და მემამულეების ინტერესებს იცავენ აგრარული რევოლუციის ხანაში.

ერთი სიტყვით, „ერთობა" დიდი მადლობის ღირსია ჩვენი მხრით, ვინაიდან მან მეტათ სერიოზული საბუთი მოგვცა ეგრეთ წოდებული გლეხთა ცენტრის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლათ.

შემდეგ ჩვენ თავის კრიტიკაში აღვნიშნეთ, რომ „დებულებაში" ნაჩვენები არ არის „როგორ გადადის მიწები საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გამოუყიდველათ, თუ გამოყიდვით. „ერთობას" უკვირს, თუ რათ მივაქციეთ ჩვენ ამ გარემოებას ასეთი ყურადღება? განა საეჭვო უნდა იყოს, რომ გამოუყიდველათ უნდა გადავიდეს მიწები საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში, რომ დღეს არც ერთს ცოტათ თუ ბევრათ ჭკუიან ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა—მიწა მემამულეებისაგან უნდა გამოყიდულ იქნასო". დავანებოთ თავი „ჭკუიან ადამიანებს", „ერთობას" მოახსენება ალბათ, რომ კადეტები [illegible] „ჭკუიანი ადამიანებია", რომლებსაც ჩვენი მენშევიკები თავგამოდებით იცავენ ხანდახან, და აბა კითხეთ „ერთობის" ბრძენნო ამ ჭკვიან ადამიანებს, ამბობენ ისინი თუ არა, რომ მიწა მემამულეებისაგან გამოყიდვით უნდა იქნას ჩამორთმეული? დავანებოთ თავი კადეტებს; განა მემარჯვენე ესერები და თვით თქვენი თანამოაზრენი მენშევიკები (მასლოვი და სხვ.) და დაშნაკელები და ის ბეგები, რომლებთანაც თქვენ ერთ ბლოკში იმყოფებით არ ამტკიცებენ? რომ მემამულეებს სასყიდელი უნდა მიეცეს ჩამორთმეულ მიწებშიო. — არა, „ერთობის" ბრძენნო, ჭკვიან ადამიანებს თქვენ თავი დაანებეთ, სიტყვას ბანზე ნუ აგდებთ. თქვენ კარგათ იცით, თუ რისთვის არ არის ნათქვამი თქვენ „დებულებაში" გამოუყიდველათ თუ გამოყიდვით ჩამორთმევა ზედმეტი მიწები მამამულეებ[illegible]

*) ფაქტიური შენიშვნა: ქართულ ენაზედაც დაიწერა იგივე კრიტიკა („ბრძოლა" № 62), ეს გარემოება, ეჭვი არაა, დააკმაყოფილებს გაზ. „ერთობა".

ამის თქმა „დებულებაში“ აუცილებელი იყო, ვინაიდან უამისოთ თქვენი „დებულება“ კარგავს ყოველივე მნიშვნელობას. თქვენ ორ სკამს შუა ზიხართ: თქვენ გინდათ მემამულეების გული მოიგოთ და გლეხებსაც აჩვენოთ, რომ ვითომც იმათი ინტერესებიც გაწუხებთ. მაგრამ. არა; ჩვენ ფარდას ვხდით თქვენს მოღალატურ ტაქტიკას: ჩვენ ვამბობთ, რომ ბ.ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის და ახლა იმ განმარტების შემდეგ, რომელიც თქვენ მიეცით, გლეხთა ცენტრის „დებულება“ განზრახ გვერდს უვლის ამ მეტათ სერიოზულ და გლეხებისათვის ფრიად არსებით საკითხს. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი სასაცილო გარემოება. „დებულების“ მესამე მუხლში ნათქვამია, რომ 1918 წლის პირველ იანვრიდან ისპობა მიწების გამოსაყიდი გადასახადი, რომელსაც ყოფილი დროებითი ვალდებული გლეხები იხდიდენ“. „ერთობას“ ეს მუხლი მოყავს ჩვენ წინააღმდეგ იმის დასამტკიცებლათ, რომ მიწები მემამულეებს გამოუყიდველათ უნდა ჩამოერთვასო და დაცინვით ამბობს, რომ ფ. მ—მ „დებულება“ ვერ გაიგოვო. ნეტა ვის იგდებს აბუჩათ „ერთობა“.,. თავის თავს თუ თავის საბრალო მკითხველებს? ეს მუხლი შეეხება მხოლოთ და მხოლოთ სანადელო მიწებს, რომლებიც „დებულების“ ძალით ახლა უნდა ჩამოერთვას მემამულეებს? რათ ურევს გაზეთი ამ ორი კატეგორიის მიწებს ერთმანეთ შორის? მხოლოთ იმიტომ, რომ მენშევიკებს მეტი არა დარჩენიათ რა გარდა იმისა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყუილები ილაპარაკონ.

ფ. მ.

(დასასრული იქნება),

# კვალ და კვალ

„ერთობა“ ჭიუტობს.

მკითხველს ახსოვს ჩვენ და „ერთობას“ შორის კამათი კლარა ცეტკინას წერილის შესახებ. ეს კამათი გამოიწვია „ერთობამ“, რომელმაც მიიყვანა წყალწყალა „ნოვაია ჟიზნის“ აზრი ცეტკინის ამ წერილის შესახებ. ეს აზრი იმიტომ მოიყვანა „ერთობამ“, რომ იგი (აზრი) მიმართული იყო ცეტკინის და ბალშევიკების წინააღმდეგ. საზოგადოთ ცნობილია, რომ „ერთობა“ ერთ სტრიქონსაც არ უშვებს „ნოვაია ჟიზნიდან“, რომელიც მიმართულია ბალშევიკების წინააღმდეგ. „ნოვაია ჟიზნი“ ხშირათ ილაშქრებს მენშევიკების წინააღმდეგაც, რამდენათაც ეს უკანასკნელნი ხანდახან მკრთალათ ჩანან პოლიტიკურ ჰორიზონტზე (რასაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ერთობ ძვირათ აქვს ადგილი, ვინაიდან პროლეტარიატის თვალ... უკანასკნელ თვეებში სრულიათ გაკოტრდენ და გაირიყენ), მარა ამას გვერდს უვლის „ერთობა“.

„ერთობა“, ეყრდნობოდა რა „ნოვაია ჟიზნის“ აზრს, ამბობდა, რომ ცეტკინის წერილი მიმართულია ბალშევიკების წინააღმდეგო. ჩვენ ვამტკიცებდით პირიქით: ცეტკინი, ცნობილი გერმანელი ინტერნაციონალისტი, რომელიც ამ ომის დროს არა ერთხელ მჯდარა ციხეში, აღფრთოვანებული ეგებება ბალშევიკების მეთაურობით მომხდარ ოქტომბრის რევოლიუციას, გამსჭვალულია ბალშევიკებისადმი განუსაზღვრელი სიმპატიით, მეცნიერულათ ასაბუთებს ამ რევოლიუციის გამარჯვების შესაძლებლობ... სარკასტიულათ, მწვავეთ, შე... ...ათ დასცინის ყველა იმ ცრუ ...ისტებს, ე. ი. ობორონცებს (მენშევიკესერებს), რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში „ლაჩრულათ“ (ცეტკინას თქმით) ზურგი შეაქციეს ოქტომბრის დიად რევოლიუციას და მეტიც: კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ერთათ კიდეც გაილაშქრეს ...ის წინააღმდეგ.

ასე იდგა კითხვა. რომ მკითხველი თვითონ გარკვეულიყო, ვინ იყო ჩვენში მართალი, საუკეთესოთ მივიჩნიეთ ცეტკინის წერილის მთელათ მოთავსება, რაც მაშინვე სისრულეში მოვიყვანეთ, მიუხედავათ „ბრძოლის“ პატარა ფორმატისა. ჩვენ „ერთობასაც“ ესევე ურჩიეთ, რათა მისი მკითხველებიც გასცნობოდენ ამ საუცხოვო წერილს, მარა, როგორც ეტყობა, იგი არ აპირებს მის გადაბეჭდვას, თუმცა ხელის შემშლელი პირობები მისთვის, გარდა კეთილი სურვილისა, არ არსებობს. და ასეთი კეთილი სურვილი გამოწვეულია იმის გამო, რომ „ერთობა“ დარწმუნებულია, რომ ცეტკინის წერილი თავიდან ბოლომდე ბალშევიკების სასარგებლოთ და მენშევიკების საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს.

„ერთობა“ (№ 223) კიდევ უბრუნდება ცეტკინის წერილს. ის ამბობს, რომ კითხვის სწორეთ დასმაა საჭირო, რასაც „ბრძოლა“ გაურბისო. იგი კითხულობს: „რა არის თავი და თავი კლარას წერილშიო?“ და უპასუხებს: ეს არის კლარას მიერ რუსეთის მოუმზადებლობის აღიარება, მისი ჩამორჩენა, რაც შეუძლებლათ ხდის სოციალიზმის გამარჯვებას რუსეთშიო.

„ერთობა“ აღიარებს, რომ ცეტკინი სწორათ, მარქსისტულათ აფასებს რუსეთის სინამდვილეს (ე. ი. მის „ჩამორჩენას“), მარა დასკვნას კი („ბალშევიკების მიერ წამოწყებული ბრძოლა გამარჯვებით გათავდებაო“) შემცდარს აკეთებსო. ქვევით „ერთობა“ ამბობს: „ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომ ცეტკინა ამბობდეს: სოციალიზმი დღესვე გაიმარჯვებსო“. ქვევით: „კიდეც რომ ასეთს ახირებულს დასკვნას აკეთებდეს ცეტკინა, ეს არაფერს არ ნიშნავსო“ და სხ.—ეს სტრიქონები საუცხოვოთ ახასიათებენ ავტორის საცოდავ მდგომარეობას: იგი საშინლათ დაიხლართა ლოღიკურ წინააღმდეგობაში. იგი ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ, ჩოჩვა-ჩოჩვით სრულიათ გვეთანხმება ჩვენ ცეტკინის წერილის დაფასებაში: ბალშევიკები გაიმარჯვებენ, სოციალიზმი გაიმარჯვებსო, მარა დამარცხებულათ თავს მაინც არ აღიარებს და მიწაზე საცოდავათ გაშხლართული, გაიძახის: ჩვენ მაინც მართალი ვართო.

ჩვენ ვამბობთ: დედა აზრი კლარას წერილისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანალიზს უკეთებს რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ-სოციალურ სინამდვილეს, ადარებს ერთმანეთს ორ მიმდინარეობას, ორ მსოფლ მხედველობას, ორ ბანაკს—ობორონცებისას (მენშევიკების მეთაურობით) და ბალშევიკებისას (ინტერნაციონალისტებისას) და ამბობს: სიმართლე ბალშევიკების მხარეზეა, სოციალისტური ინტერნაციონალის სიმპატია მათ მხარეზეაო.

„ერთობის“ ავტორს რომ ყურადღებით წაეკითხა კლარას წერილი თავიდან ბოლომდე, იგი დაინახავდა; 1) ცეტკინი, როგორც ნამდვილი მარქსისტი, ...ულ სხვა დასკვნას აკეთებს რუსეთის ვითომდა ჩამორჩენიდან, სახელდობრ: ამ „ჩამორჩენამ“ ხელი შეუწყო ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებას, ხელს შე...ს მის სოციალისტურათ გადაქცევასო; 2) როცა ცეტკინი მენშევიკების უმთავრეს დებულებას („ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მაშასადამე—მეთაური ბურჟუაზია, უნდა იყოს, მაშასადამე—რესპუბლიკაც ბურჟუაზიული იქნებაო“) იგონებს, რუსეთის „ჩამორჩენაზე“ ლაპარაკობს და ისტორიულ-მატერიალისტურ მოძღვრებას რეცეპტების კარაბადინს ადარებს, სახეში ჰყავს შაბლონურათ (ზეპირათ) მოაზროვნე ხალხი, დოკტრინიორები, რომელთაც გაუზეპირებიათ მარქსისტული ანბანი, ფრაზები, სიტყვები, მარა მარქსიზმის დედა-ძარღვი, მისი სული და გული, მისი ნამდვილი შინაარსი სრულიათ ვერ შეუთვისებიათ. ასეთ ცრუ მარქსისტებათ, ცრუ სოციალისტებათ, ცრუ რევოლიუციონერებათ თვლის ცეტკინი რუსეთის და მთელი ქვეყნის მენშევიკ-ობორონცებს.

დასასრულ ჩვენ ერთხელ კიდევ ვურჩევთ „ერთობას“, გადაბეჭდოს კლარას წერილი, თუმცა ეს მის („ერთობის“) პრესტიჟს კი დაამცირებს მისი მკითხველის თვალში.

## კავკასიის ორი სიეზდის შედეგი.

პირველია კავკასიის მუშათა საბჭოების სიეზდი, ხოლო მეორე—კავკასიის არმიის.

პირველიდან გავიდა სიეზდის ახსნის პირველი დღიდანვე 72 დელეგატი, რომელთა სამართლიანი წინადადება ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლებმა—ობორონცებმა, არ მიიღეს. ეს 72 კაცი არის ჩრდილო-კავკასიის ქალაქებიდან და ბაქოდან, სადაც, ყველამ იცის, ნამდვილი სამრეწველო პროლეტარიატია.

ეს ასი ათასზე მეტი პროლეტარი 72 კაცით იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც მარტო თბილისის 25 ათასი მუშა წარმოდგენილია 70 კაცით. აი ამ არა ნორმალური მდგომარეობის გამოსწორება მოითხოვა იმ 72 კაცმა, მაგრამ, როგორც ვთქვით, არ მიიღეს და იძულებული გახადეს სიეზდს გაცლოდენ. ამნაირათ სიეზდი დარჩა ობორონცების ამარა და მაშსადამე პროლეტარიატის სანქციას მოკლებული. რა გააკეთა ობორონცების სიეზდმა არ ვიცით, მხოლოთ ის კი აშკარაა, რომ კავკასიის პროლეტარიატის წარმომადგენლები საქმეს არ დასტოვებენ და საჭირო ნორმალურ სიეზდს ახლო მომავალში შექმნიან. კიდევ მეტი უზურპატორობა და აშკარა ძალმომრეობა გამოიჩინეს ამიერ-კავკასიის ობორონცებმა კავკასიის არმიის მეორე სიეზდზე.

სიეზდი ამ დღეებში დიდი ბრძოლის შემდეგ დასრულდა და როგორც ვიცით მეტათ საყურადღებო რეზოლიუციები გამოიტანა მან სცნო და აღიარა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა—სახალხო კომისარების საბჭო. აღიარა ლოზუნგი. მთელი ძალა-უფლება საბჭოებს; დაგმო და უარყო კავკასიის კომისარიატი, და ძველი საბჭო.

მუშაობის დასრულებას მან აირჩია ერთ ხმათ ახალი საბჭო, რომელშიც შევიდა ასი კაცი: 52 ბალშევიკი და მემარცხენე ესერი და 48 მემარჯვენე ესერი, მენშევიკი და სხვა ყველა ნაციონალისტური პარტიები. ამნაირათ საბჭოშიაც როგორც სიეზდზე, შედგა ორი ბლოკი-მარცხენა და მარჯვენა. პირველი 52 კაცისგან შემდგარი, ხოლო მეორე 48 კაცისგან

ძირითადი დემოკრატიული პრინციპის თანახმათ პირველს უნდა დამორჩილებოდა მეორე და საქმე შეერთებული ძალით უნდა ეწარმოებიათ; მაგრამ ეს ასე არ მოხდა: უმცირესობამ, 48 კაცმა-ობორონცებმა დამორჩილება არ მოისურვეს და საბჭოდან გავიდენ, იმათ ბალშევიკებთან მუშაობას დეზორგანიზატორობა არჩიეს და თავი არმიის ნამდვილ საბჭოთ გამოაცხადეს. ძველი საბჭოც ჩაიბარეს ყველაფერი, რადგან ძველებიც ობორონცები იყვენ და ასე ამნაირათ მოინდომეს არმიის ძალით ხელში ჩაგდება და ამ ძალით შერყეულ ტახტზე გამაგრება.

არმიის საბჭოს 52 წევრმაც, როგორც უმრავლესობამ თავი ნამდვილ საბჭოთ გამოაცხადა: აირჩია თავმჯდომარე ... ამხ. ყორგანოვი და საქმეს შეუდგა. უპირველესათ ის მოუწოდებს კავკასიის არმიას არ დაემორჩილოს უზურპატორების საბჭოს (48 კაცს) და ეცადოს გაატაროს მხოლოთ სიეზდის მიერ არჩეული საბჭოს უმრავლესობის (52 კაცის განკარგულებანი.

## კავკასიის არმიის საბჭოს დეპეშა.

(პეტროგრადის, სახალხო კომისარების საბჭოს).

სალამს მოგიძღვნით რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის წარმომადგენლებს და გაცნობებთ, რომ კავკასიის არმიის დელეგატთა სიეზდი დასრულდა. არჩეულია საარმიო საბჭო ასი კაცისაგან შემდგარი, რომელთაგან 52 მარცხენა სექტორიდან არის არჩეული—ბალშევიკები და მემარცხენე ესერები, დანარჩენი 48 კაცი არჩეულია მარჯვენა სექტორიდან მენშევიკები, მემარჯვენე ესერები, დ[ა] ყველა სხვა ნაციონალისტური ჯგუფები.

საბჭოთა ძალა-უფლებას ზედმიწევნით მაღიარებელი და კავკასიის არმიის სიეზდის რეზოლიუციების აგრეთვე სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტების სასტიკათ გამტარებელი, კრასოვარი (კავკასიის არმიის საბ.) თავს კავკასიის უმაღლეს მმართველათ აცხადებს სამხედრო სფეროში და გთხოვთ ყველა თქვენი განკარგულებანი კავკასიის მხრის საბჭოს მიმართოთ, როგორც ჯარის სრულ უფლებიან ორგანოს.

არმიის საბჭოს პრეზიდიუმი.

# ქრონიკა

ხულიგანთა თავგასულობა.

ამ უკანასკნელ დღეებში ხულიგანებმა მეტათ აიშვეს თავი. დაღამდება თუ არა მთელ ქალაქში გაისმის თოფების და რევოლვერების ბახა-ბუხი. ხალხი ქუჩაში ვერ გამოსულა. მილიციონერები და მეეზოვეები თითქოს შეეჩვიენ ამ მდგომარეობას, პირველ საპოლიციო უბანში კირპიჩნი ქუჩის შესახვევში ვიღაც ხულიგანი ყოველ ღამე ცხრა საათიდან თორმეტ საათამდე გამოდის ქუჩაში და ისვრის. ახლო მახლო მცხოვრებნი შიშით გარეთ ვერ გამოსულან, მით უმეტეს, რომ იქ მუდამ ჩაბნელებულია, საჭიროა ადგილობრივმა კომისარმა დაავალოს მილიციონერებს და მეეზოვეებს თუ სხვა არა, ამ ხულიგანის ვინაობა მაინც გაიგონ, რომ ღირსეულათ დაისაჯოს და მუდმივ შიშს გადარჩენ მცხოვრებნი.

ახალციხის საშინელი მდგომარეობა.

ახალციხიდან დეპეშით გვატყობინებენ: თათრებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და ულტიმატუმი წამოგვიყენეს. ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა. მდგომარეობა საშინელია. ვსთხოვთ ამიერ კავკასიის კომისარიატს სასწრაფოთ გამოგზავნოს ჯარები და ორი ჯავშნიანი ავტომობილი.